Ai განათლებაში- იყო მოსწავლე/ მასწავლებელი 21-ე საუკუნეში

სსიპ. შალვა ბედოიძის სახელობის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ სართიჭალის N1 საჯარო სკოლის
მოსწავლე: ალლა ლომიძე

რა არის AI?

ხელოვნური ინტელექტი, კომპიუტერული მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომელიც მიზნად ისახავს ინტელექტუალურ კომპიუტერულ მანქანის/პროგრამის შექმნას რომელსაც ექნება უნარი მიაღწიოს ადამიანის ინტელექტის გაგებას.

- ძლიერი AI — ცდილობს ადამიანის ფსიქიკის სრული სიმულაცია მოახდინოს და ინტელექტუალური ფუნქციების დამოუკიდებლად განხორციელება შეძლოს.

- სუსტი AI — შექმნილია კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად, მაგალითად, თამაშების ან ავტონომიური ტრანსპორტის მართვისთვის.



აზროვნებს Ai?

ინტელექტის ერთ-ერთი მთავარი თვისება აზროვნებაა. ხელოვნური ინტელექტი “აზროვნებს” მონაცემების, ალგორითმების, მანქანური სწავლებისა და ნეირონული ქსელების მეშვეობით.

- მონაცემები AI-ისთვის გამოცდილების წყაროა, რომელიც ემყარება ჩვენი მხრიდან მიწოდებული ინფორმაციის შეგროვებასა და დახარისხებას.
- ალგორითმები წარმოადგენს მათემატიკური და ლოგიკური ინსტრუქციების ნაკრებს, რომლითაც AI ამუშავებს მონაცემებს.

მანქანური სწავლება ავითარებს ხელოვნურ ინტელექტს – ის სწავლობს საკუთარ შეცდომებზე.

- ნეირონული ქსელები კი ადამიანის ტვინის სტრუქტურით ინსპირირებულია — ერთმანეთთან დაკავშირებული "ნეირონების" ფენები ამუშავებენ ინფორმაციას.



როგორია სწავლა-სწავლება AI-ს დახმარებით ?

სწავლა- ახალი ინფორმაციის მიღება, გააზრება და ათვისება

სწავლება კი დაგროვილი ცოდნის გაზიარებაა.

იყო მოსწავლე 21-ე საკუნეში



დღევანდელი მოსწავლე აღარ არის მხოლოდ მერხთან მჯდარი ადამიანი, რომელიც პასიურად ისმენს მასწავლებლის ლექციას. ის:

- ეძებს, იკვლევს, იაზრებს და ქმნის;
- იყენებს ტექნოლოგიებს (ლეპტოპი, ტელეფონი, ინტერნეტი, ხელოვნური ინტელექტი);
- სწავლობს გუნდურად და დამოუკიდებლად;
- აყალიბებს კრიტიკულ აზროვნებასა და მეტაკოგნიტურ უნარებს (ფიქრი ფიქრზე);
- ინტერესდება მსოფლიო მოვლენებით და ფიქრობს გლობალურად.



გამოწვევები და შესაძლებლობები

შესაძლებლობები

- ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველგან — ონლაინ კურსები, ვიდეო გაკვეთილები, ე.წ. ღია რესურსები;
- შეგიძლია ისწავლო მაშინ, როცა გინდა და სადაც გინდა;
- შეგიძლია ითანამშრომლო მსოფლიო მოსწავლეებთან.

გამოწვევები

- ინფორმაციის გადაჭარბება (რა არის სწორი, რა — არა?);
- მოტივაციის ნაკლებობა ტექნოლოგიური გადატვირთვის ფონზე;
- ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითება.

იყო მასწავლებელი 21-ე საუკუნეში

ვინ არის მასწავლებელი თანამედროვე ეპოქაში?
21-ე საუკუნის მასწავლებელი:
არა მხოლოდ ფაქტების გამცემი — ის ხდება მენტორი, მოტივატორი, ფსიქოლოგი, ლიდერი და ტექნოლოგიური მეგზური;
ქმნის გარემოს, სადაც მოსწავლე არ სწავლობს „შიშით“, არამედ სწავლობს ცოდნის სიყვარულით;
ასწავლის მოსწავლეს როგორ ისწავლოს, და არა მხოლოდ რა ისწავლოს.

თანამედროვე მასწავლებლის უნარები:
კრიტიკული აზროვნების გაღვივება — მოსწავლეს არ აძლევს მზად პასუხებს, არამედ ასწავლის კითხვების დასმას.
ტექნოლოგიური კომპეტენცია — იყენებს ციფრულ პლატფორმებს (AI, Zoom, Google Classroom, Kahoot, Canva და სხვ.), ქმნის ინტერაქტიურ გაკვეთილებს.
ემოციური ინტელექტი — გრძნობს მოსწავლის მდგომარეობას და პასუხობს არა მხოლოდ გონებრივ, არამედ ემოციურ საჭიროებებზე.
მუდმივი განვითარება — სწავლობს ახალ მეთოდებს, მიდგომებს და თვითონაც მუდმივად ვითარდება.
პერსონალიზებული სწავლება — თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალურად ეკიდება, აფასებს მათ უნიკალურობას.

გამოწვევები:
მოსწავლეთა ყურადღების გაფანტვა და მობილური ტექნოლოგიების გავლენა;
მშობლებთან თანამშრომლობის საჭიროება ახალ დონეზე;
მაღალი მოლოდინები სკოლიდან, საზოგადოებიდან და ოჯახიდან.



რატომ არის მასწავლებელი შეუცვლელი?

მიუხედავად ხელოვნური ინტელექტისა და ტექნოლოგიური პროგრესისა:
AI ვერ ჩაანაცვლებს გულწრფელ სიტყვას, ადამიანურ შეხებას და ემპათიას;
ვერ ასწავლის მოწყენილზე მოტივაციის მოპოვებას, ღირებულებებს, ან სიკეთის ძალას;
ვერ იქნება გულისხმიერი, მგრძნობიარე ლიდერი, რომელსაც მოსწავლეები სამუდამოდ იმახსოვრებენ.

ვინ იყო პირველი მასწავლებელი?



პირველი მასწავლებელი ისტორიაში უცნობია, მაგრამ ჩვენ ვიცით ფილოსოფოსები, სოკრატე, კონფუცი, არისტოტელე, ჰიპათია და სხვა მრავალი. ისინი იყვნენ ფილოსოფოსები და ასწავლიდნენ თავიანთ მოსწავლეებს "სიბრძნეს"

ჩაანაცვლებს AI მასწავლებელს?

AI არ ფლობს ემოციებს, განცდებს ან ადამიანურ ღირებულებებს, იგი ვერ შეძლებს ბავშვის შთაგონებას ისე, როგორც ეს შეუძლია ნამდვილი მასწავლებლის სიტყვას ან მზერას და ვერ ატარებს იმ ღირებულებებს, რაც ადამიანი მასწავლებელს გადაეცემა გამოცდილების გზით.

როგორ განვითარდება მასწავლებლის როლი თანამედროვე ცხოვრებაში? ?
AI და მასწავლებელი ერთობლივად შექმნიან ჰიბრიდულ მოდელს — ტექნოლოგია უზრუნველყოფს ეფექტურობას, მასწავლებელი — ღირებულებებს.
მასწავლებელი მომავალშიც დარჩება უცვლელად მნიშვნელოვანი, როგორც შთაგონების, სიყვარულის, ზნეობისა და აზროვნების გამზიარებელი

ხელოვნური ინტელექტი შესაძლოა გახდეს ასისტენტი, მაგრამ მთლიანად ვერ ჩაანაცვლებს ადამიანებს იმ პროფესიებში, სადაც საჭიროა:

- ემოციური ინტელექტი
- ინტუიცია
- სულიერება
- მორალი და განსჯა

სწორედ ეს არის პროფესია -მასწავლებელი

- რეალური კავშირი და სიყვარული



ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲙᲐᲢᲘ
ᲐᲚᲘᲪᲐ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ
12.2024

HAPPY
GREEN
SMART

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲘᲗᲘ
ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲙᲐᲢᲘ
ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ
2024 ᲬᲚᲘᲡ

CERTIFICATE OF ACHIEVEMENT
THIS AWARD IS GIVEN TO
Ala Lomidze
For interesting presentation at the forum
organized to celebrate Earth Day 20-21 April, 2024
Ilia State University
Maia Todua
Head, Space Research Center
Nino Doborjginidze
Rector, Ilia State University

სერტიფიკატი
გადაეცემა
შალვა ბეღოიძის სახელობის
სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ
სართიჭალის N1 საჯარო სკოლის X კლასის
მოსწავლეს
სასკოლო კონკურსში
“ქიმია როგორც მთავრება “
გამარჯვებისთვის
13.12.2024

ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲙᲐᲢᲘ
ᲐᲚᲚᲐ ᲚᲝᲛᲘᲫᲔᲡ
CITY MALL

მადლობა ყურადღებისთვის !